№ ზ-ყ/1359-16

"06" 10 2016 წ.

დადგენილება №001627
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

06.10.2016წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაველმა განვიხილე 2016 წლის 07 ივლისის №001627 მითითება და 2016 წლის 09 აგვისტოს №001627 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "ალიანს-ჯი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №204560714, დირ. ნინო კოკაია (პირადი №01006001515), მის: ქ. თბილისი, პურის მოედანი №2) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) I-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ა." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, პურის მოედანის ქ. №1, პურის მოედანის ქ. №2-ში (საკ. კოდი №01.18.03.053.008) შ.პ.ს. "ალიანს-ჯი"-ს მიერ განხორციელდა შენობების (ჭრავი ძეგლები) რეკონსტრუქცია-ადაპტაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №1973622 AR1303320 24.06.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია დეკორატიული ელემენტები, მოპირკეთება, კარ-ფანჯრებისა და ღიობების ადგილმდებარეობა და გაბარიტი. დამატებულია წყალგადამყვანი და წყალშემკრები მილები. პარაპეტზე დამატებულია თუნუქის ფურცლები. ნაწილობრივ შეცვლილია სახურავის სიმაღლეები, ასევე შეცვლილია თუნუქის ფურცლებით შეფუთული ნაწილების ვიზუალური მხარე. -3.90 ნიშნულზე „3-3" და „ა-ა" ღერძების კვეთაზე კედელში დამატებულია საკომუნიკაციო მილი. „გ-გ" ღერძზე კედელში დამატებულია ღიობები და სვრელები. -3.90 ნიშნულზე შეცვლილია სართულის გაბარიტი და კონფიგურაცია, ასევე შეცვლილია ფართი. +3.20 ნიშნულზე შეცვლილია აივნებისა და შუშაბანდის გაბარიტი, ასევე „8-9" მონაკვეთში გაზრდილია +3.20 და +7.00 ნიშნულებს შორის მანძილი. შეცვლილია კოლონებისა და რიგელების რაოდენობა, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია მათი ადგილმდებარეობა და გაბარიტი. შემცირებულია სართულშუა გადახურვის ფილების სისქე. „1-1" ღერძზე ±0.00 ნიშნულიდან დამატებულია კონსოლი. ნაწილობრივ შეცვლილია შიდა კიბეების გაბარიტი, კონფიგურაცია და საფეხურების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია გარე კედლების ფორმა და სისქე. ასევე შიდა ტიხრების რაოდენობა ადგილმდებარეობა და ფორმა. ნაწილობრივ შეცვლილია

ტიხრებში მოწყობილი ღიობების ადგილმდებარეობა, გაბარიტი და რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების გაბარიტი და ადგილმდებარეობა. +7.00 ნიშნულზე დამატებულია ლითონისა და ხის კონსტრუქციები ნაწილობრივ შეცვლილია პარაპეტების ფორმა და სიმაღლე. პროექტში განსხვავებული ფაქტურით არ არის ნაჩვენები მონოლითური და ბლოკის კედლები.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2016 წლის 07 ივლისს შედგენილ იქნა მითითება №001627, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 (ოცდახუთი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2016 წლის 09 აგვისტოს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001627, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2016 წლის 22 სექმტებერს და 2016 წლის 29 სექტემბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვები. საქმის განხილვათა თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს, რომელიც სხდომებზე არ გამოცხადდა. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "ალიანს-ჯი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ა." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, პურის მოედანის ქ. №1, პურის მოედანის ქ. №2-ში (საკ. კოდი №01.18.03.053.008) შ.პ.ს. "ალიანს-ჯი"-ს მიერ განხორციელდა შენობების (უძრავი ძეგლები) რეკონსტრუქცია-ადაპტაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №1973622 AR1303320 24.06.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ა." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ალიანს-ჯი" დაჯარიმდეს 2.000 (ორიათასი) ლარით, ქ. თბილისში, პურის მოედანის ქ. №1, პურის მოედანის ქ. №2-ში (საკ. კოდი №01.18.03.053.008) მდებარე შენობების (უძრავი ძეგლების) შეთანხმებული პროექტის დარღვევით რეკონსტრუქცია-ადაპტაციისათვის (II კლასი).

2. შ.პ.ს. "ალიანს-ჯი"-ს დაეკისროს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის I-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ალიანს-ჯი"-ს დაეკალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ე. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე მ. ჯაყელი

გაეცნო ასლით 17.10.2016წ.

თერაბანკი
terabank

ი.ჭავჭავაძის გამზ. 0103, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 255 00 00
ფაქსი: * 50 507

საგადახდო დავალება N 1051764

თარიღი 26.10.2016

გადამხდელის დასახელება	შპს, 204560714
გადამხდელის ანგარიშის ნომერი	**204560714**
გადამხდელის ანგარიშის IBAN	**GE27KS0000000360500346**
გადამხდელის ბანკის დასახელება	სს "თერაბანკი" **TEBAGE22**
მიმღების დასახელება	შპს, 204560714
მიმღების ანგარიშის ნომერი	**204560714**
მიმღების ბანკის დასახელება	სს "თერაბანკი" **TRESGE22**
ოპერაციის შინაარსი	ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა
ოპერაციის ტიპი	**0**
საგადახდო დოკუმენტის ნომერი	**300773263**
ოპერაციის თარიღი	26.10.2016
ოპერაციის ტიპი	26.10.2016
საკომისიო	**0**
ოპერაციის ტიპი	**0**
ოპერაციის ტიპი	**0**
ოპერაციის ტიპი	**0**

2,000.00

GEL

ოპერაციის თარიღი 26.10.2016

ოპერაციის თარიღი 26.10.2016

საგადახდო დავალების დანიშნულება	ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა



: ⌊ ⌐ ⌉ ⌉ ⌉ ⌋ ⌄ ”, ⌊ . ⌯ ⌉ ” ⌃ ” ⌄ ” 0103, ⌊ . ^ ⌉ ⌊ ⌊ ⌉ ⌈ ⌃ ” ⌄ 3
⌄ ⌉ ” ⌋ ⌉ ⌀ ⌐ ⌊ ⌉ ” ⌀ ` ⌊ ⌋ : ⌐ ”: (995 32) 255 00 00
⌊ ⌀ ⌉ ” ⌃ ⌈ ⌐ ” ⌋ ⌉ ⌋ : * 50 507



: ⌊ ⌐ ⌉ ⌉ ⌉ ⌋ ⌄ ”, ⌊ . ⌯ ⌉ ” ⌃ ” ⌄ ” 0103, ⌊ . ^ ⌉ ⌊ ⌊ ⌉ ⌈ ⌃ ” ⌄ 3
⌄ ⌉ ” ⌋ ⌉ ⌀ ⌐ ⌊ ⌉ ” ⌀ ` ⌊ ⌋ : ⌐ ”: (995 32) 255 00 00
⌊ ⌀ ⌉ ” ⌃ ⌈ ⌐ ” ⌋ ⌉ ⌋ : * 50 507

10 ივლისი, 2016

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

წინამდებარე მინდობილობით, მე, **შპს ალიანს-ჯი-ს** (საიდ. კოდი 204560714) დირექტორი ნინო კოკაია (შემდგომში – "მარწმუნებელი"), უფლებამოსილებას ვანიჭებ:

ავთანდილ ნაცვალაძეს (საქართველოს მოქალაქე; პირადი N01030052696, დაბ: 21.07.1990)

რათა მან, მარწმუნებლის (შპს ალიანს-ჯი-ს) ინტერესების გათვალისწინებით, წარმოადგინოს იგი ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში, სასამართლოში, აგრეთვე წარმოადგინოს მარწმუნებელი მესამე პირების (ფიზიკური და იურიდიული პირები) წინაშე. დაიწყოს სასამართლოში ნებისმიერი საპროცესო წარმოება, სარჩელით, მათ შორის შეგებებული სარჩელით მიმართოს სასამართლოს, შეიტანოს შესაგებელი, შეგებებული სარჩელი ან შეგებებული საჩივარი, შეცვალოს სარჩელის შინაარსი, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო და საკასაციო წესით, წარმოადგინოს მარწმუნებელი საქართველოში მოქმედ ნებისმიერ სასამართლო პროცესზე განურჩევლად ინსტანციისა, აგრეთვე წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ შეხვედრაზე, სხდომაზე შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება მარწმუნებლის ინტერესების დაცვის მიზნით, კერძოდ: მოიპოვოს ნებისმიერი მტკიცებულება და სხვა სახის დოკუმენტი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ან/და გადაიღოს ასლები საქმის მასალებიდან, დააყენოს შუამდგომლობები, წარმოადგინოს მარწმუნებელი სასამართლო სხდომაზე და საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეხვედრაზე, განახორციელოს ნებისმიერი მიზანშეწონილი ქმედება, რაც დაკავშირებულია მარწმუნებლის ინტერესების დაცვასთან, მოიპოვოს საქმისთვის აუცილებელი მტკიცებულებები და ნებისმიერი სხვა საბუთი, რომლის მოპოვებასაც რწმუნებულები საჭიროდ ჩათვლის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად. სრული მოცულობით წარმოადგინოს მარწმუნებელი შინაგან საქმეთა სამინისტროში, პროკურატურაში, იუსტიციის სამინისტროში, საჯარო რეესტრში, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში, თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა სამსახურში, გამგეობებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და სხვა სახელმწიფო ორგანოებში, წარადგინოს და ხელი მოაწეროს განცხადებებს, მიიღოს და ჩაიბაროს დოკუმენტები, გამოცხადდეს და დაიცვას შპს ალიანს-ჯი-ს ინტერესები ზეპირ მოსმენებზე. დანიშნოს ექსპერტიზა და ხელი მოაწეროს ექსპერტიზის ჩასატარებლად ხელშეკრულებას. შეიტანოს გაჟისათვის და ყველა გადასახადებისათვის საჭირო თანხები.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 5 წლის ვადით.

ნინო კოკაია ----------

შპს ალიანს-ჯი-ს
დირექტორი

საქართველო. შპს "ალიანს-ჯი" 204560714 GEORGIA. " ALIANCE